„მუშათა გაერთიანებულ—მუშათა საქმეა“

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან.

№ 27 კვირა 25 მაისი 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოდა კვირაში ერთხელ—კვირაობით

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ კვირაობით

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართული კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

ლეოლინა სეფეს ალული, მინადორა, ლომიძეები, სპირიდონ და მიხაკო სვანიძეები, სეფეს მეულლითური გერასიმე, იოსები კოსტა და სონია ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ბეგობართ პირველის უსიყვარულესი ქმრის, მეორესი შვილის, მესამესი ძვირფასი მამის, მეოთხე დისშვილის, მეხუთესი დაუვიწყარი სიძის

ფილიპე (ჟორჟიკ) ლომიძის

გარდაცვალებას, რომლის გამოთხოვების დღე ცალკე გამოცხადება.

დედა-ქალაქი 25 მაისი 1919 წ.

ხვალ მთელი საქართველო დიდი ზეიმით დღესასწაულობს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წლის თავს. სხვა და სხვა იქნება მოტივი ამ დღესასწაულისა, სხვა და სხვი სახით გამოახატავს საქართველოში არსებული ჯგუფები თავის დამოკიდებულებას ქართველი ერის ცხოვრებაში ამ უდიდეს აქტისადმი. ზოგი ამ აქტს დაისახავს პირველსა და უკანასკნელ მიზნად ადამიანის არსებობისა, ზოგიც დათვრება ეროვნული დღესასწაულით და მუქარას შეუთვლის ყველა სხვა ერს, ზოგიც ჩვეულებრივად ლამაზ სიტყვათა კონაში და მაღალფარდოვან უსიცოცხლო მოწოდებაში ამოსწურავს დღესასწაულს და ზოგიც ამ ზეიმის დროსაც არ დაივიწყებს თავისი პარტიული კაპიტალის გაძლიერებას.,. არც ერთი და არც მეორე ირ იქნება ჩვენთვის საზეიმო, სადღესასწაულო.,. სულ სხვა მხრივაა მიპყრობილი ჩვენი ყურადღება. ჩვენ ძლიერ კარგად ვგრძნობთ სიდიადეს ქართველი ერის განთავისუფლებისას, ჩვენ გარკვეულად და თამამად ვამბობთ, რომ ჩვენთვისაც ძვირფასია ეს თავისუფლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ თავისუფლების მატარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ შეგნებული და შეკავშირებული ქართველი მშრომელი ხალგი, რომელსაც შეეძლია შეუბღალავად და წმინდად ატაროს ამ თავისუფლების დროშა და იგი შეუერთოს მსოფლიოს მშრომელთა თანაბარ და მონათესავე მოძრაობათ. ჩვენ მხოლოდ ამ შეხვედრის, შეთანხმებეს, შეკამშირების იმედი გვაქვს.., თორემ ყოველ გამყვლელს და გამომვლელს შეუძლია უდიერად შეაბოს ხელი ჩვენს თავისუფლებას და თავისებური ექსპერიმენტები მოახდინობ ჩვენს ქვეყანაში. ამ „საფრთხის“ თავიდან ასაცდენად ერთად ერთი საშუალებაა დაუყონებლივი აღდგენა მუშათა ძლიერი ინტერნაციონალისა, რომელიც სასიკვდილო ლახვრის ჩაცემას ყველა ჯურის იმპერიალისტებს. ეს დღე იქნება, მართლაც დღე ჩვენი ნამდვილი ზეიმისა, დღესასწაულისა. დღეს კი ვვსალმებით ერთხელ კიდევ ჩვენს თავისუფლებას და მოვუწოდებთ საქართველოს მშრომელ ხალხს, იარაღი არ დაჰყაროს, სანამ სხვა ერების მშრომელ ხალხთან ერთად არ შეასრულებს თავის მაღალ მიმისიას.

——— ———

მთავრობის ზეიმი და საქართველოს თავისუფლება.

რას ზეიმობს საქართველოს მთავრობა და მისი მიმყოლი ხალხი? საქართველოს თავისუფლებას თუ რევოლიუციის წინსვლას?

ვის დავიწყდება ის რომ დღევანდელი მთავრობის გმირები, საქართველოს თავისუფლებას დიდის ენერგიით უარყოფდენ.

დღევანდელი ზეიმის ხალხმა იცის თუ არა ის, რომ საქართველოს თავისუფლება, რევოლიუციის მსვლელობამ მისდა უნებურად ნოახვია თავს დღევანდელ საქართველოს მბრძანებელთ თუკი ამის ცოდნა აქვს, ზეიმის მონაწილემ ისიცის უნდა იცოდეს, რომ თუ რევოლიუციის მსვლელობა დამარცხდა დღევანდელი გმირები საქართველოს თავისუფლებას ერთ თვესაც ვერ შეინარჩუნებენ, ვისაც საქართველო გულით უყვარს, უნდა უყვარდას რევოლიუციის წინმსვლელობა ვისაც რევოლიუციის წინსვლა სწამს მას ისიც უნდა სწამდეს, რომ რევოლიუციის წინ სვლას დღევანდელი საქართველო ხელს უშლის, რითაც ის ეწინააღმდეგება თვითთარსებობის ხანგრძლიობას. ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოს თავისუფლება მიანიჭა რევოლიუციამ მის გამარჯვება-გამტკიცებას თავისუფალ საქართველოს, ამ რევოლიუციის სამსახეურ თველო. ის, უნდა გადაკეთდეს კომუნათა ფედერაციათ, რომ ამით შესძლოს რევოლიუციის სამსახური და რევოლიუციამ მის თავისუფლების განტკიცება.

სინდიკალისტი.

——

ეროვნული დღე.

26 მაისი შეიძლება ადინიშნოს: როგორც ეროვნული დღე. ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას და რა ნაირიც არ უნდა იყოს ეს ჩიგვრა უკანასკნელი აუცილებლად იწვევს მისდამი საწინააღმდეგო ბრძოლას მაგრამ უნდა აღინიშნოს სამწუხაროდ რომ ქართველი ხალხი არა საგრძოგბლად იბრძოდა ეროვნულ ჩაგვრის მოსასპობად.

ქართველი ერის სასიცოცხლო ნაწილი მშრომელი ხალხი მუდმივ მთელ თავის ყურადღებას აქცევდა კლასობრივ ჩაგვრას და მისი ძალა მუდმივ მიმართული იყო კლასობრივი ჩაგვრის მოსასპობად. მაგრამ ისტორიულ პროცესში საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც ქართველმა ხალხმა მხარი დაუჭირა და სისხლით დაიცვა იგი. ეს საკვირველი მოვლენა აიხსნება შემდეგი გარემოებით: როდესაც საქართველოს სამოციან წლეების მოღვაწენი ჩამორჩენ ცხოვრებას, მათი მოქმედების ასპარეზი უნდა დაეჭირა სხვა ახალ თანამედროვე მიმართულებას, რომელიც გაითვალისწინებდა არსებულ პიროობებს და გააჩაღებდა ბრძოლას, როგორც ეროვნული აგრეთვე კლასობრივ გათანასწორებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას ასეთი მიმდინარეობის ნაცვლად საქართველოში დაიწყო მოღვაწეობა პოლიტიკურმა პარტიამ რომელმაც უარყო ეროვნული საკითხი და ენერგიულათ შეუდგა კლასობრივი ბრძოლის გაღმავებას.

ეს არა ნორმალური მიმდინარეობა იყო საქართველოსათვის, ვინაიდან ის ებრძოდა ერთა ჩაგვრას მეორეს ყურადღებასაც არ აქცევდა და თუ ვინმე გაბედავდა ეროვნული ჩაგვრის წინამდეგ ხმის ამოღებას ეს ახალი მიმართულებები ე. ი. სოც.-დემოკრატია მთელი თავისი ენერგიით შეებრძოლებოდა მას. ცხოვრებაში სუყველაფერი იცვლება და სოციალ-დემოკრატიამ იცვალა ფერი. მას შემდეგ რაც დამარცხება იგემა რუსეთის ცენტრალისტური სახელმწიფოს აღმშენებლობის ნიადაგზე, ის მოებღაუჭა საქართველოს და დაიწყო ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ სოც.-დემოკრატია უწინ ივიწყებდა ეროვნულ საკითხს ახლა მან დაივიწყა კლასობრივი საკითხი. მან ვერ გაითვალისწინა ის რომ საქართველოს განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი უკრავლესობა განთავისუფლდება არა მარტო ეროვნულათ, არამედ ეროვნულ თავისუფლებასთან ერთად მოიპოვებს კლასობრივ გათანასწორებას. დიდია მაინც მნიშვნელობა 26 მაისისა მაე მოგვცა ჩვენ ჩანასახი ეროვნული თავისუფლებისა. აბსოლუტური განთავისუფლება ეროვნებისა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სოციალური რევოლიუციის გამარჯვებით. ეს მოსაზრება გვიკარნახებს მთელი ჩვენი რევოლიუციონური ენერგია მივმართოთ საერთაშორისო რევოლიუციონურ ცეცხლის ასანთებლად.

პლ. ოტიასძე.

——

ერთი ნიგუფის

ოპორტიუნისტულ სოციალისტების სიკოტრე არსად ისე ნათლათ არ გამოაშკარავებულა, როგორც ჩვენ მენშევიკებში.

მენშევიზმი, რუსეთში რევოლიუციით საბოლოოთ დამარცხებულსა, საქართველოში მთელი თავისი პოლიტიკური შემოქმედები იმით ამოწურა, რომ შიგ უკვე დრო მოჭმული ბურჟუაზიული წესების შემოღება დაიწყო, რომლებმაც ლამის არის საშინელი შინაგან კატასტროფის წინაშე დაგვაყენოს, ხოლო გარეთ მის მაგივრათ რომ გაბედულათ ამოსდგომოდა გვერდშუ ისედაც შინაგან ბრძოლით დასუსტებული სოციალისტურ დემოკრატიას, აშკარათ აუხვია მას გვერდი და მსოფლიო იმპერიალიზმის კოალიციის ფერხულში ჩაბმა მოიწადინა.

ჩვენი ქვეყნის ასეთ ბატონ-პატრონთაგან არ არის გაიკვირძი, თუ ჩვენში არამც თუ ღრმავდება რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვარნი, არამედ ყოველდღე და ყოველ საათს ფრთები ეკვეცება და ძველს უბრუნდება.

რევოლიუციის ბურჟი ჯარის კაცთა და მუშათა საბჭო—თითქმის გაუქმებულია ჯარი დიდი ხანია ჩამოაშორეს ამ საბჭოებს, ხოლო მუშათა დეპუტატები მხოლოდ მანეკენებათაა გადაქცეული, რომელთაც მხოლოთ ღა ის უნარი შერჩენიათ რომ რამიშვილ-გეგეჭკორის რეზოლიუციებს ხელი აუშვიროონ.

პროფესიონალურ კავშირებში, რომელნიც მხარს უმაგრებდენ საბჭოებს ხდება ერთის მხრივ ხელოვნური იზოლიაცია საქართველოს პროფესიანალურ კავშირეაის დანარჩენ ამიერ-კავკასიის კავშირებიდან—და მეორეს მხრივ თვით საქართველოს კავშირებში წარმოუდგენელის ფანატიზმით სწარმოებს ეროვნული დიფერენციაცია, რაიც საბოლაოთ, რასეკვირველია, აძაბუნებს და ყოველგვარი გავლენას და მნიშვნელობას უკარგავს ამ ორგანიზაციებს.

რკინის გზების კომიტეტებს და წვრილ მოხელეთა კავშირების ანულაციაც ფაქტია. ამ წერილში მინდა აღვნიშნო ერთი ნიმუში იმისა თუ როგორ ებრძვის „წესიერების“ (იკითხე სპეკულანტების მყუდროების დამცველი) პარტიის-მთავრობა მოხელეთა კავშირის.

სახეში მაქს სახელმწიფო ქალალდების ღამმზადებელია ექსპედიციის კავშირი.

რაკი ჩვენი მთავრობის მთელი ფინანსური პოლიტიკა ბონეაის ეაეშვდით იწყება და თავდება სიფიქრებელი იყო რომ ამ საქმის ტეხნიკურ მხარეს მაინც სათანადოთ მოაწესრიგეადნენ.*)

და მეორეც ექსპედიციის განკარგულებაში მყოფ საღებავთა რაოდ-ნობა მხოლოთ გირვანქობით თუ განისაზღვრება.

ყველა ეს, რასაკვირველია, უპირველესად ყოვლისა ბ-ნ ექსპედიციის კომისრის «თავდარიგს“ უნდა მიეწეროს.

მაგრამ ექსპედეციის სათავეში ჩაუყენეს კაცი (ბ-ი კეველიშვილი-რასაკვირველია მენშევიკების პარტიის(რომლის მთელი „შემოქმედებანი“ პროფესიონალურ ორგანიზაციათა წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრება. ამ ბრძოლის ფინალი იმაში გამოიხა-

*) თუ როგორია ამ მხრივ ექსპედიციის მდგომარეობა ამას ნათლათ ამტკიცებს ის, რომ დღეს უკვე ბონები არა წმინდა მჩვრის ქაღალდზე იბეჭდება, როგორც წინათ, არამედ ჩვეულებრივ **ფოსტის ქაღალდზე**, რომელიც ორი კვირის საკმარისი ღა თუ დარჩა კიდევ.

ტა, რომ მოსამსახურეთა შტატების შემცირების დროს ბ,ნმა კევლიშვილმა იხელმძღვანელა არა ნაციონალიზაციის პრინციპით, რომლითაც საყოველთაოთ ხელმძღვანელობენ ხოლმე ჩვენში ასეთ შემთხვევებში, არც იმის მიხედვით თუ ვინ უფრო გვიან შიმოვიდა სამსახურში, არამედ პირველ რიგში მოაქცია მოხელეთა კავშირის თავმჯდომარე შ. ხ-ი უნარით და ენერგიით სავსე ახალგაზდა და ისიც ვინც ახლო მონაწილეობას ღებულობდა კავშირის მუშაობაში. კევლიშვილის ასეთმა-თვით-ნება უსამართლობამ ყველანი საშინლათ ააღშფოთა და საგანგებოთ ამისათვის მოწვეულმა მოხელეთა საზოგადო კრებამ 1 აპრილს 1919 წელს ,,არა ნორმალურ პირობების გამო, რომელიც ექსპედიციაში გამეფებული და იმ ნაბიჯებისათვის რომელიც გადასდგა ადმინისტრაციამ შტატების შემოკლების დროს, დაადგინა ამხანაგური ნდობა გამოეცხადა ამ. შ. ხ-ს, ა. თ-ს და დ. ა-სა, ხოლო უნდობლობა ექსპედიციის გამგეს ვინაიდან მის მეოხებით აირ-დაირია ექსპედეციის საერთო საქმეები და დაინგრა მოხელეთა კავშირი'' ამასთანავე კრებამ მიანდო კავშირის გამგეობას ეცნობინებინა საქმის ვითარება ფინანსთა სამინისტროსათვის.

მოხსენება (4 IV № 24) იმის დასაბუთების გარდა, რომ კევლიშვილი არც ცოდნით, არც პრაქტიკით და არც ცენზით არ შეეფერება თავის მაღალ „პოსტს", იმასაც აღნიშნავდა ,,რომ ექსპედეციაში, არამც თუ არსებობს რაიმე უფლების მქონე ორგანიზაცია, არამედ გათელილია ყოველივე პირადი ინიციატივა, მოსპობილია საშუალება კონტაქტურ მუშაობისა და ყველაფერი ერთ პიროვნების ხელშია, რომელიც თავის ნებაზე მოქმედობს—ეს პიროვნება ბ-ი კევლიშვილია, ის კევლიშვილი. რომელიც აშკარათ ამბობდა რომ არავითარ ანგარიშს არ გაუწევს კავშირს ვინაიდან მან უფრო კარგათ იცის თუ როგორ მოიქცეს და არ საჭიროებს დამხმარე ორგანისაციებს მან საქმე იმ დონემდე მიიყვანოს რომ მოსპოს საშუალება წევრთა საერთო კრების გამართვისაც კი.

როდესაც ამ მოხსენებას უდგენდნენ სამინისტროს მოხელეთა კავშირს გულუბრყვილოთ სჯეროდა, რომ ,,სოციალისტური'' მთავრობა ანგარიშს გაუწევდა მოხელეთა საზოგადო კრების აზრს. სჯეროდა რომ ასე ჩქარა არ წაიღებდნენ უკან დამფუძნებელ კრების საპლატფორმო დანაპირებს რომ ჩვენ ს. დ-ი მოხელეთა არჩევნების სისტემას დაუჭერთ მხარსო—მაგრამ მთავრობამ ისე როგორც ყველგან აქაც ფეხი დააჭირა კოლლექტიურ გადაწყვეტილებას.

მოხსენებას მოყვა ორი ურთიერთობა ექსპედეციის სახელზე ფინანსთა სამინისტროდან.

ერთი 3 მაისის თარიღით და 469/3633 ნომრით, რომლით მოხელეთა კავშირის თავმჯდომარეს და კომისრის მიერ ათვალისწინებულ მოხელეებს ითხოვენ სამსახურიდან და მეორე 5 მაისის თარიღით და 478/3691 ნომრით, რომლითაც ექსპედიციის ადმინისტრაციას ებრძანება არამც და არამც არ დაუშვას პროფესიონალურ კავშირების კომპენტენციის გაფართოვება, რომელთა ერთ ერთ მისიის ეკონომიურ მდგომარეობაზე (იკითხე პურის და შაქრის მოწოდებაზე) ზრუნვა შეადგენს.

ამ რიგათ, მთავრობათ ქცეულმა, ბენშევიკურმა ინტელიგენციამ, ერთხელ კიდევ დაამტკიცა რომ ის ყოველ ნაბიჯზე ღალატობს აოამც თუ სოციალისტურ — არამედ უბრალო დემოკრატიულ მოთხოვნილებებსაც და როგორც ზემოთ დავინახეთ ეს ღალატი მარტო საქართველოთ არ შემოიფარგლება, არამედ საერთაშორისო სახესაც ღებულობს. ცხადია ასეთ პოლიტიკას და ასეთ მთავრობას იმავე მეთოდებით სჭირდება შებრძოლება, როგორითაც ებრძოდენ და ებრძვიან დემოკრატიის და სოციალიზმის მტრებს.

P.

პარტიულ განაკეგზი.

საქართველო ტერიტორიალური სივრცითაც და მცხოვრებთა რაოდენობითაც ერთ პატარა ქვეყნად ითვლება დედამიწის ზურგზე. მაგრამ იმდენი პოლიტიკური მიმდინარეობანი, იმდენი პოლიტიკური პარტიები თუ ჯგუფები როგორც საქართველოშია არსად არ მოიპოვება. ეს მოვლენა შედეგი უნდა იყოს ან ქართველი ერის უაღრესი ინტელექტუალური განვითარებისა, პოლიტიკური დისციპლინისა და რწმენისა, ან და ქართველი ბუნების მოუსვენრობისა და მერყეობისა. მაგრამ როცა ახლო გავიცნობთ ყველა პარტიების ცხოვრებას და მათ ბანაკებში სარკმელიდან შევიხედავთ არც ერთი მიზეზი არ გადაგვეშლება თვალწინ: არც უაღრეს ინტელექტუალურ განვითარებას აქვს იქ ადგილი და არც მოუსვენრობას და მერყეობას. პარტიები კი იყოფიან ნაწილდებიან და ყოველ დღე საშინელ ტრანსფორმაციას განიცდიან. სჩანს ამ მოვლენას ისეთივე ორგინალური მიზეზები აქვს როგორი ორგინალობაც პარტიათა ასეთი სიმრავლეა საქართველოში.

ყველაზე დაუდგრომელი და მოძრავი პარტია ეროვნულ-დემოკრატებისა აღმოჩნდა. ამ პარტიის დაბადება არც თუ დიდი ხნის საქმე არის და ყველას ჯერ კარგათ ახსოვს გაზ. „საქართველოს" პირველ დაარსებას როგორ შეხვდნენ სხვა პოლიტიკური პარტიები. გაზ. „ერთობის" წინაპარმა აღნიშნა, რომ საქართველოში გაჩნდა ის ჯგუფი, რომელიც დიდი ხანია უნდა გაჩენილიყო. ქართული ბურჟუაზია უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც განსაკუთრებული კლასი და ჰქონდეს მას საკუთარი იდეოლოგია, საკუთარი ორგანო. გაზეთი იმედოვნებდა, რომ ეს ჯგუფი მტკიცე ნიადაგზე დადგება, მათი პარტიული მოძღვრება, მისი გავლენა საქართველოში გაიზრდება და ამიერიდან ფედერალისტებთან კამათიც გაადვილდება, ვინაიდან ამ უკანასკნელთ ბურჟუაზიული ელემენტი ჩამოშორდა და შეიძლება ფედერალისტთა პარტიამაც გარკვეული სახე მიიღოსო. მაგრამ საკმარისი იყო რევოლიუცია დაწყებულიყო, ეროვნულ-დემოკრატებსაც თეორიული მოძღვრება პრაქტიკაში გადაეტანათ, რომ იგინი ცხოვრებამ არ მიიღო. ჯერ ისევ რევოლიუციის პირველ ხანებში ამ პარტიის მოძღვრების ჰეშმარიტებაში ეჭვი შეეპარა პარტიის საგრძნობელ ელემენტს და პირველ კონფერენციაზედვე ეს ელემენტი რადიკალ-დემოკრატების სახით დაშორდა თავის მშობელს. პარტიის დარჩომილ წევრებს შორის დუღილი და ბობოქრობა არ ჩამქრალა, რაიც შედეგი დამოუკიდებელ ერ.-დემოკრატების წარმოშობა იყო. ამაზე არ შეჩერებულა ერ.-დემოკრატიულ პარტიის მშობიერობის პროცესი. გაზეთ „კლდის" ცნობით ამ პარტიიდან „მავრები წასულან", რაც ნიშნავს იმას, რომ პარტიაში ორსულობის შემდეგ მშობიერობის ტკივილები დაიწყო და დღეს თუ ხვალ ახალი პარტია დაიბადება.

რას ნიშნავს ეს? ერ.-დემოკრატიულ პარტიის უაღრეს განვითარებას, თუ პოლიტიკურ მოუსვენრობას? ჩვენ ვიტყვით არც ერთს და არც მეორეს. აქ ადგილი აქვს მხოლოდ ამ პარტიის ცხოვრებასთან შეუსაბამობას, მის სინამდვილესთან დაშორებას. ის, რასაც ერ.-დემოკრატები ფიქრობენ, ქართველი ხალხის საჭიროებას არ ეთანხმება, ცხოვრებამ იგინი უარჰყო, და ესენიც ახალი გზების ძიებაში იყოფიან და ნაწილდებიან, როგორც პირველ ყოფილი ამბობა.

ერ.-დემოკრატების ბედი სავსებით გაიზიარა მისმავე პირმშო შვილმა რადიკალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ამ უკანასკნელს იმანაც კი ვერ უშველა, რომ მოსატყუებელი სახელი „გლეხთა პარტია" დაარქვა, ეგონა ამ სახელით გლეხებს გაიყოლებდა, მაგრამ გლეხებმა იგი უარჰყო. გლეხი მიხვდა, რომ წარმტაც სახელის ქვეშ ბურჟუაზიული სულისკვეთება იმალებოდა და ამ პარტიის წევრობა ჩარჩებს, მოვაჭრეებს, მეთაბაქოებს და ბანკირებს დაუთმო. შედეგათ მოჰყვა ის, რომ ამ პარტიის არსებობა საქართველოს მრავალმა პროვინციამ არც კი იცის. გამოჩნდა ერთად-ერთი ქიზიყი, რომელმაც შეიფარა ამ პარტიის გულშემატკივარნი, მაგრამ კაი მასპინძლობამაც ვერ უშველა ამ პარტიას- პარტია აირევდაირია მაზრის კომიტეტმა გადააყენა მთავარი კომიტეტი პარტიისა, მთავარმა კომიტეტმა ანაფემას მისცა მაზრის კომიტეტი. პარტიის თვალსაჩინო წევრები ერთ დღეს მენშევიკები ხდებიან, მეორე დღეს ევგ. დვალის პარტიისა და ამრიგად პარტიის სახელი და პროგრამა მხოლოდ ისტორიის მასალად თუ გამოდგება. პარტიის ამნაირი ტრანსფორმაცია მაჩვენებელია მხოლოდ იმისი, რომ პარტია ცხოვრებიდან ძლიერ შორსა სდგას. მათ ალღო ვერ აუდეს ცხოვრების სინამდვილეს და კაბინეტში შექმნილი პროგრამა კაბინეტშივე ოკვდა. ცხოვრებამ ზურგი უჩვენა ამ პოლიტიკურ მიმდინარეობას და დღეს რად.-დემოკრატიულ პარტიის არსებობა მხოლოდ ზოგიერთების სურვილი ღა არის.

რა მდგომარეობაშია მესამე სახე ერ.-დემოკრატიულ პარტიისა დამოუკიდებელნ,? ესენი როგორც პარტიიდან გაირიყნენ, ცხოვრებამაც ისეც გარიყა თავისგან. ზღაპრული რაინდივით ეს პარტია დღიდან თავის არსებობისა დულციენეას ძებნაში პოლიტიკურ ალაყ-მალაყებს აკეთებს და სხვა რომ არა დარჩენია-რა, თავის პარტიულ ორგანოში მეკრთამეების და სპეკულიანტების ბიოგრაფიებს ათავსებს.

ეროვნულ პარტიების ბედიდან დიდათ არ განსხვავდება ფედერალისტების ბედიც.

ფედერალისტური პარტია—ტანჯულ მაძიებლის პარტიაა. მიუხედავად წლოვანური დარბაისლობისა იგი მასისთვის უცნობი რჩება. 17—18 წლის არსებობამ მას პოპულიარობა ვერ შესძინა. ქრისტესავით ,,იგი ქვეყნად მოვიდა და ქვეყანამ იგი ვერ იცნო''. რატომ? გვებადება კითხვა იმიტომ რომ თუ ქრისტემ ერთხელ იცვალა ფერი, ამ პარტიამ მრავალჯერ. მის წრეებში ძველად ყოველგვარ მოაზროვნე ადამიანს დავინახამდით. მართალია თანდისთან დიფერენციაცია ხდებოდა, არასასურველი ელემენტი ამ პარტიას შორდებოდა, მაგრამ ბედმა მას სოც.-დემოკრატებთან ერთ უღელში შებმა არგუნა. ამ გარემოებამ პარტიას სოც.-დემოკრატიული კალპაკი გადაახურა, პარტიული პიროვნება დაიჩრდილა, რისთვისაც ეს პარტია მეტად მკრთალს და შეუმჩნეველის კვალსა სტოვებს ისტორიულ მსვლელობაში. ამის გამო პარტიაში იქმნება რყევა და შეუთანხმლებლობა და ჰეშმარიტების ძიებაში ივივე გზის გავლა მოუხდება, როგორც ერ.-დემოკრატიულ პარტიას. ამის სიმპტომები თვალწინ გვაქვს ასეთი ხშირი პარტიული კონფერენციები მაჩვენებელია იმისა, რომ პარტია ახალ სახეს ეძებს და მომავალი მეოთხე პარტიული კონფერენცია საგრძნობელ მასალას შეიტანს პარტიის ახალი სახის ასაშენებლად. ამ შემთხვევაშიაც ადგილი აქვს იმ გარემოებას, რომ ცხოვრება სულ სხვას მოითხოვს პარტიული ორგანიზაციები კი სულ სხვა პრინციპებს აძლევენ, ამიტომაც არის ისეთი დულილი პარტიულ ბანაკებში.

პირველშეხედვით თითქოს სოციალ დემოკრატებს ცხოვრების ალღო აუღიათ და ჰეშმარიტებას ღალადებენ. ხალხიც მას, როგორც თაფლის გუდას, ბუზსავით ეხვევა. მაგრამ ცხოვრება არ ამართლებს ამ პარტიის მოქმედებას. უდიდესი კრიზისი საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში რომელიც შედეგია სოც.-დემოკრატიული პოლიტიკისა, მაჩვენებელია იმისი, რომ ამ პარტიას ხალხი სულ საწინააღმდეგო გზაზედ მიჰყავს. მიუხედავად ამისა პარტია ჯერ სდგას მოქმედების პოსტზედ შეუპოვრად, მტკიცედ და მაგრად, თითქოს უბრძანებს გარეშემო ხეობათ და მთათ, რა მიზეზია ეს? იბადება კითხვა. მიზეზი ერთია. პარტიის წევრობასთან ამ პარტიაში დაკავშირებულია წევრთა პირადი და მატერიალური კეთილდღეობა. ძნელი წარმოსადგენია, რომ პარტიულმაწევრმა დღეს კომისარმა, ან მილიციის უფროსმა, რომელიც ათასობით სახელმწიფო და საზოგადო, ფულსა სჭამს, თავისთავს და ოჯახს სიძვირის კრიზის არც კი ამჩნევს, პარტიაში მერყეობდა შეიტანოს, მთლიანობა დაარღვიოს და პარტიული პლატფორმის გადაშინჯვა მოითხოვოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მუშამ, რომელიც წარმოებაში ითვლება ჯამაგირს იღებს თითონ კი სამუშაოთ არ მიდის, უშრომოდ და უდარდელად სცხოვრობს, პრინციპის გულისთვის პარტიული მყუდროება დაარღვიოს. ძნელი წარმოსადგენია რომ ახალგაზრდა სტუდენტი ან ნახევარ ინტელეგენტი, რომელიც სასოფლო კომისიის სახელით სამაზრო ქალაქებში და სოფლებში პროპაგანდაზე დადიან, დიდ გასამჯელოს იღებენ და მათ ემსახურებიან ძლიერნი ამა ქვეყიისა, უკმაყოფილო იყოს სოც.-დემოკრატიული პარტიისა. „თვალი დაუდგეს აწ ხალხსა, მამულს ოღონდ ვაამოთ ჩვენ საკუთარ გულსა" ამბობენ იგინი და სოც.- დემოკრატიულმა პარტიამ არამც თუ ბურჟუაზიულ აზროვნებისაკენ გადახაროს, ვინდა მთლად ბურჟუაზიულ სამოსლით შეიმოსოს, ეს ელემენტები არ უღალატებენ მას და პარტიული მთლიანობისათვის დიდხანს იბრძოლებენ.

ესეთია დღეს მდგომარეობა პარტიულ ბანაკებში ჩვენში. რევოლიუცია „ღრმავდება" პოლიტიკური პარტიები სოკოსავით ჩნდებიან და იზრდებიან; მშრომელი ხალხისთვის კი შეღავათი არსაიდან სჩანს ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დიდხანს შეუძლებელია. დადგა დრო როდესაც უნდა მოხდეს ყოველგვარ ღირებულობის გადაფასება.

რა უნდა ჰქნას მშრომელმა ხალხმა საქართველოში. პირველ ყოვლისა მუშა—მშრომელმა, მაშვრალმა ხალხმა უნდა გაითვალისწინოს რომ მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. არც ერთი პოლიტიკური პარტია რომელიც ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აშენებისათვის მოქმედობს, მუშებისთვის არ ვარგა ისინი ლამაზ სიტყვებში და ბურჟუაზიულ რეფორმებში ჩაჰკლავენ მუშათა მოძრაობას. ერთად ერთი ხსნა მუშების მეკავშირეობაშია, სინდიკატების და ასოციაციების დაარსებაში, მტკიცე შროების ფედერაციების შექმნაში. აქ იხსნის მუშა თავს და ჩვენც აქეთკენ მოუწოდებთ მას,

როლანდი.

ახალი ამბავი.

ახალი კლუბის საზაფხულო შენობაში 7 ივნისს გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა სამკურნელო ფაკულტეტის სტუდენტთა კავშირის სასარგებლოთ.

ქ. კოვნოში 5000 გერმანელმა ჯარისკაცმა დემონსტრაცია მოახდინა საზავო პირობების საწინააღმდეგოთ და მოკავშირეთა მისიას დაეცა დასარბევათ.

გერმანელებს საზავო პირობთა განსახილველთა მიეცა უკანასკნელი ვადა 29 მაისი.

იტალიის დელეგატებმა ხელმეორეთ ხასტოვეს საზავო კონფერენცია და რომს გაემგზავრენ. იტალიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლათ.

იტალიაში მოსალოდნელია სამინისტროს კრიზისი, რადგან ფართო მასსა უკმაყოფილოა იტალიის დელეგაციის მოქმედებით.

სოციალისტური დელეგაცია, რომელიც ბერჰიის სოციალისტურმა კონგრესმა ამოირჩია რუსეთში გასაგზავნათ, ადგილობრივ პირობების შესასწავლათ, ვერ გაემგზავრება რუსეთში, რადგან ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა პასპორტების მიცემაზე.

მუშური გზა.

წარსული კვირეები მდიდარია თავისი შინაარსით, მაგრამ ბნელია და ყოველად საზიზღარი მუშათა კლასის სიცოცხლისა და განვითარებისათვის, მუშათა კლასი ვერ ღაივიწყებს ამ სისხლიან დღეებს, როდესაც მადა გაღვიძებულმა, გამარჯვებულ კოალიციის იმპერიალისტებმა სამკვდროსასიცოცხლოდ შეუტიეს პროლეტარების უმთავრეს ბანაკებს—ინგლისის ცნობა ბელაკუნის მთავრობის ჩამოგდების შესახებ, კოლჩაკის დაუნდობელი შემოტევა, მიუნხენში მუშათა კლასის დამარცხება და კერძოდ საქართველოში უდიდეს ავაზაკების განთავისუფლება, აი საქმენი რომელთა ურცხვ პროცესში ჩამარხულია ვიღაც შავი გმირის შავი ხელი და ამ მოვლენებს მუშათა კლასმა უდიდესი ანგარიში უნდა გაუწიოს. გამარჯვებული იმპერიალიზმი არ ზოგავს ერთნაირად გადალახოს მუშათა კლასის უფლებები ყოველგან და მიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუდამო ლახვარი ჩასცეს მშრომელი ხალხის განთავისუფლების იდეალს და ეს ისეთის მაღალის საძხედრო ღირსებითა და იარაღის ეღარუნით ხდება რომ თქვენ თვალწინ ხშირად ჩნდებიან თითქოს არა ამ ნახევარ ლის წინედ დამარცხებული იმპერიალისტები, არამედ ისინი, ვინც თითქოს მახვილის ხელში აღების დღიდანვე არც ერთხელ არ განეცადოს დამარცხება.

ასე დიდია მსოფლიოს ბატონების დღევანდელი კადნიერება, იმათი ვინც სულ რაღაც ექვსი თვის წინად სასოწარკვეთილი შესცქეროდა მომავალს და ქედმოხრილი იზნიქებოდა გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე! და აი სწორედ ისინი ვინც დამარცხდა პირისპირ ხელჩართულ ომში მასზე ძლიერ იმპერიალისტურ ძალის წინაშე, იგი დღეს იბეჩავებს და იმორებს იმათ, ვინც თავიდან მოიცილა ეს უდიდესი ბოროტი ძალა და ფართედ გაიღო კარი მშრომელი ხალხის თავისუფლების, მაგრამ ხმალში დამარცხებული იმპერიალისტები თავს ესხმიან მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და ლამობენ წაშალონ დედამიწის ზურგიდან ახალი ისტორიის წმიდა სახეობა, რომელიც მუშათა კლასსმა ასეთი ძლიერის გატაცებით დაიწყო!

ჩვენ გვინდა მოვიგონოთ ერთი ლამაზი სურათი ძვირფას ერთ-ერთ ტრაგედიიდან.

რომის დესპოტი—ნერონი ნადიმში კლავს თავის ბორგვალ სულის სილაღეს!

კარებში ერთგული პეტრონიუსი გამოჩნდება!

„რომი იწვის მბრძანებელო“. მდაბლად მოახსენებს იგი..,

„რაო?! პეტრონიუს უბრძანე ფანდური მომართვან! მსურს რომის კედლების ჩაფერფვლასთან ერთად მატკბობდეს ფანდურის მომხიბლავი ჰანგი“...

დღეს მეოცე საუკუნის დასაწყისშიც იგივე სურათია! დემოკრატიის ბობოქარი სტიქიონი წალეკვას უქადის ამაყ კედლებს იმპერიალიზმის!

ყრუდ ისმენენ მრავალნი ამ დრტვინვას, მაგრამ იგი ყველასათვის ზარდამცემია და ეს ყურად უნდა იღონ ყველა იმათ ვისაც ჯერ გრძნობა და სმენის უნარი მთლად არ წართმევიათ!

გაზეთებმა ცნობა მოგვიტანეს, რომ პარიზის ქუჩებზე „სინდიკალისტები“ „წვიმამ“ გაფანტაო!.. ვინ უწყის რომელ ღრუბლებში პოვა ადგილი ამ არა ჩვეულებრივ წვიმის წვეთებმა!..

ბოლგარელების მხედრობა უარს აცხადებს: ცეცხლითა მახვილით წალეკოს ბოლშევიკური წითელი ჯარები! სჩანს რევოლიუციის წითელი ბაცილები საშინელის სისწრაფით ვითარდებიან მუშათა კლასის ფარაჯიან სხეულებში!

მაგრამ მუშათა კლასისთვის რამდენადაც ძვირფასია თვითონ აქტი რევოლიუციის იმდენად მუშათა კლასი დაკვირვებული უნდა იყოს და წინ დახვდულად გადასჭრას ბედი თავისი! ჩვენ მოგახსენებთ რევოლიუციის დასკვნის, დასასრულის შესახებ!

როგორი უნდა იყოს იგი?

ყველა რევოლიუცია ყველა ქვეყნებში მუშათა კლასის მადლიანმა მკლავებმა მოახდინეს მაგრამ, მუშათა კლასივე მარცხდებოდა აქ როგორც მუშა ძალა და როგორც ყველაზე უფრო უფლება აყრილი მოქალაქე, ჩვენის მუშების ხმებით სარგებლობდენ ისინი, ვისაც ბედმა არგუნა ჩვენს ახლოს ყოფნა და დროებითი სამსახური და მესვეურობა და ყველა პარლამენტები სადაც ჩვენი თეთრი კენჭების ზღვა საქვეყნო მმართველობის სათავეში ატივტივებს სხვა და სხვა ყოფილ მუშათა კლასის დამცველებს ძალაუნებურად რჩება დეკორაციის შეცვლასთან ერთად ძველი ჩვეულებრივი შინაარსი და ამიტომაც მუშათა კლასი პირველ ყოვლისა უნდა ფართოდ იყოს დაინტერესებული რომ სადავე რევოლიუციის ხელიდან არ გაუშვას და მისი არსებითი დირექტორი და ტონის მიმცები თვითონ დარჩეს!.

მუშათა კლასს სხვა არაფერი არ გააჩნია გარდა თავის ღონიერ მკლავებისა და იგი უპირველეს ყოვლისა უნდა ცდილობდეს რომ განთავისუფლებულმა ერთი ბატონისგან მეორეს არ ჩაუვარდეს ხელში და ამით ლახვარი არ დასცეს სათარსავე შრომის უფლებას და მორალურ განთავისუფლების წმინდა სიცოცხლეს?

საგაზეთო წერილი მოკლეა ყოველთვის მაგრამ დედააზრი ყოველთვის შეიძლება ოდნავაც მაინც გამოკეთდეს მასში და როდესაც ჩვენ მუშებს მიუთითებთ თავისუფლებისაკენ უპირველეს ყოვლისა სახეში გვაქვს სრული განთავისუფლება პიროვნების რომლიდანაც გამომდინარეობს ჯგუფური, სასოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი აი ვის განთავისუფლებას უნდა ითხოვდეს მუშათა კლასი!.. და ამიტომაც როდესაც რევოლიუციის ტალღები როცა ასე ქაფ-გადაკრული ეჯახებიან სიმაგრეებს ბურჟუაზიულ და იმპერიალისტურ ხელის უფალთა მთელი ქვეყნის მუშა ხალხი უნდა ყოველის ღონისძიებით ცდილობდეს რომ საერთაშორისო რევოლიუციამ გაიმარჯვოს, მაგრამ გამარჯვების მეორე დღე კი უეჭველად მუშათა კლასის განთავისუფლების დღესასწაულად უნდა გამოცხადდეს! და თუ მუშა კლასმა ეს რევოლიუცია წააგო როგორც მუშური რევოლიუცია ანაც და წინააღმდეგ—მოიგო და იგი ვერ გამოიყენა შრომის იდეალთა განსამტკიცებლად მაშინ მუშათა კლასი იძულებული იქნება მეორე საერთაშორისო შეტევა განაახლოს და რევოლიუციის ტრიუმფალური მსვლელობა პროლეტარიატების ქოხებთან შეაჩეროს!. გვითქვამს მრავალჯერ და დღესაც უნდა ვსთქვა, რომ მომენტი რომელიც მუშათა კლასს თითქოს ანახდეილათ კარს მოადგა უძვირფასესი მომენტია სოციალისტურ რევოლიუციისა და მაშინ როცა საერთაშორისო ნახევარ ქვეყანას მრავალნი ხელმწიფო აპარატები ხელ უპყრიათ, როდესაც პროლეტარიატი, მხედრობა ურიცხვია და უთვალავი, დღეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი უნდა შეერთდეს ერთი დევიზათ. ეს არის პირველი იატერნაციონალის დიდი თქმულება „მუშათა კლასის განთავისუფლება მუშათა საქმეა“ აქეთ მოუწოდებთ პროლეტარებს საქართველოს სინდიკალისტები და ამ პოზიციაზე ვდგევართ ჩვენც!

ს. კოლხიდელი.

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲜᲘ.

(ძღვნად საყვარელ ქართულ „შევარდენს“)

ნეტარ ცისარტყლით იქარგება ცა, ველთ სამკობლო;
ლამაზ შვენებით ჰხაროობს ტურფა ივერთ სამშობლო.

*

კავკასიონის აქოჩრილ მთით, შევარდენთ გუნდი,—
ეკვეთა ღრუბლებს! ფრთა—მალებით ჰფანტა ბინდ-ბუნდი.

*

ლაჟვარდ სივრცეში ლეგა მკერდნი რღვევით მოჰქრიან,
გულ-ზვავ სვავ-ყორნებს ბასრ კლანჭებით შიშის ზარს ჰგვრიან.

*

ამაყ თვალებით მოელავენ, ღვთიური ცეცხლით;
ამწვანწითლებულ მაისს რთავენ ცელქი სიცოცხლით.

*

ნისკარტთ ვარჯიშით ნავარდობენ, მარდნი, მყიონი—
ახალგაზრდული ისმის ტრფობის მძლე მაყრიონი.

*

ვარდთა გვირგვინით იქარგება მზე—გმირთ სამკობლო;
ლამაზი შვებით ლაღობს ტურფა ივერთ სამშობლო!

მაისი 1919 წ.

ს. ერთაწმინდელი

ᲡᲐᲥ ᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

საქართველოს მოგონებასთან ბევრი ისტორიული მწუხარება და სიამოვნება აოის დაკავშირებული. ჩვენ ვიცით ისტორიის მსვლელობის ქარ-ცეცხლში ჩამწვარი მაღალ კულტურის მქონე ერები გამტვერება მათი და სამუდამოთ აღმოფხვრა ამ ქვეყნის ზედა პირიდან ისტორიის შავი წიგნა მხოლოდ ერთს გვეუბნება „სცხოვრობდენ აღარ არიან“...

აი პასუხი შავი წიგნისა.

საქართველოს ასაკილდა ისტორიის მწარე მახვილი, მან ორი ათასი წელი გადაიმტვრია თავზე და სამაპაპათა თვალ მარგალიტი მოწიწებით მოართვა მეოცე საუკუნეს.

დღეს საქართველოს მთავრობა ერთ წლის პოლიტიკურ თავისუფლებას დღესასწაულობს. ქართველი ერი და მისი პროლეტარიატი კი ამ დღეს ის შეხვდება, როგორც ას ჩვიდმეტი წლის მონას განთავისუფლებულს ტყვეობიდან.

ჩვენ კი რომლებმაც პირველმა ჩავიკარით გულში სამუდამოდ, ... იმავე მუშებმა დ, მაღლა ასწია დროშა, საერთაშორისო ძმობა ერთობის, ჩვენ არ გვინდა მარტო ერის ნაწილი ზეიმობდეს ერის თავისუფლებას, არა, ერის პროლეტარიატი ეს ბურჯი ჩვენი ცხოვრების რომელიც მუდამ ჟამს დასაბამიდან საქართველოს და მის კულტურას იცავდა ველურებისაგან თავის გულ-მკერდით, ამავე ოფლიანმა შუბლმა უნდა იდღესასწაულოს ერის სიცოცხლე ახალი საქართველოს აშენება იმან დაიწყო დე მანვე ლაამთავროს, ჩვენ ამ შემთხვევაში ჩვეე შავ ბლუზიან ძმებთან ვართ, მათგან ველით ხსნა: არა ნარტო საქართველოსას პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებისას, არამედ ყველა დაჩაგრულ ერისას. ის პოლიტიკური მოღვაწეები, რომელსაც კვარაში შვიდი პარასკები აქვს მისგან ... ...

…ყება და მეორეთ მას უდი-
…რთხე მოელის ბურჟუაზიის

…ურთი სიმპტომი — ეს არის ხალ-
…ოგა. ეს ბურჟუაზიული ხრიკია
…ნ წითელ სამოსელში გამოხვეუ-
…კი ანკესი. მათი მიზანია გან-
…ბა მშრომელი ხალხისა, რომ
…ი ვერ გაბედოს ენის ამოღე-
…წინააღმდეგ. და ვერ გაბე-
…დგან უიარაღო ხალხი უძ-
…ნება შეებრძოლოს მათ და-
…ებულ სამხედრო ძალას, იმედია
…სატყუებელ ანკესზე არ წამოე-
…მუშათა კლასი და ის თავს გა-
…ვანს ამ დაფარულ გაჭირვებისა-
…ეს მოხდება მაშინ, როდესაც
…ი აღმართავენ დროშებს სოცია-
…ასა და ეს დროშების აღმართვა
…წყო, მაშ ჩვენც დავეხმაროთ
…ევებაც აუცილებელია.

დათიკო ვ—კი.

…ციალისტური საფრთხე.

…დაუნდობელმა მსოფლიო ომმა
…დაანგრია თითქმის მთელი ქვეყანა,
…ანადგურა მილიონობით ხალხი და
…ოსპო ქვეყნის მრეწველობა, მხო-
…ა უკანასკნელნი დარჩნენ მსოფ-
…ი იმპერიალისტები, ბურჟუაზია
…ისტოკრატია. ვინაა დამნაშავე
…ონელ უბედურებისა? რომ
…ი რომელიმე იმპერიალი-
…ელმწიფოს, გერმანიის ბრა-
…გიგებთ პასუხს. იმას კი
…კვლევენ, თუ ვინაა მიზეზი
…ლ ომისა. თავის თავად
…ეუ ვინაა მიზეზი ამ საშინე-
…იმპერიალისტური არისტო-
…ედამ კრიჭაში უდგას სხვა
…ფოს იმპერიალისტურ არი-
…ებს. მას სურს, რომ რაც
…ი ჩაახჩოს, მოსპო მოპირდა-
…, თითონ გაბატონდეს მეორე
…ახელმწიფოს ხალხზე. მაშასადამე
სხვა და სხვა სახელმწიფოს იმპერია-
ლისტები ერთი მეორეს კრიჭაში
ჩაუდგებიან და არ მისცემენ საშუა-
ლებას ერთმანეთის არსებობისას, მა-
შინ ჩნდება შეჯახება და მას მოჰყვე-
ბა საშინელი ომი. ჩვენ აქ რომ
გადავაბრალოთ რომელიმე სახელმწი-
ფოს, ერს, ეს სრულებით სიმართ-
ლეს არ უნდა შეიცავდეს, არამედ
ჩვენ უნდა ვეძიოთ დამნაშავე მაღალ
კლასებში. ე. ი. იმპერიალისტებში.
გამარჯვებულნი ოთხთა სახელმწიფოს
იმპერიალისტები იყოფენ პარიზის
კონფერენციაზე მეორე დამარცხებულ
ყოფილ იმპერიალისტურ სახელმწი-
ფოს ქონებას, ისეთი პირობები წაუ-
ყენეს ოთხთა სახელმწიფოს იმპერია-
ლისტებმა გერმანიის ხალხს, რომ
ასეთი პირობები სრულიად ანადგუ-
რებს გერმანიას. გაუმაძღარმა ინგ-
ლისის იმპერიალისტებმა არ იხელმძ-
ღვანელეს ვილსონის 14 პუნქტით
არამედ ისეთი ზავი უნდათ შეკრან,
რომ მთელი მსოფლიო ხელში ჩაიგ-
დონ. ინგლისის ბატონობა სახიფა-
თოა თვით თავის მოკავშირეებისა-
თვისაც. თითქმის ყველა გერმანიის
…ონია რჩება ინგლისს, აგრეთვე
ფლოტი, სამხედრო ქონება და მრა-
ვალი სხვა.

ერთი სიტყვით, ინგლისს სურს
მსოფლიოს ბატონობა. ამ გარემოე-
ბას ყურადღება უნდა მიაქციოს
მსოფლიოს პროლეტარიატმა და სე-
რიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს
ინგლისის შავ რეაქციას. ვინაიდან
ინგლისი ყოველ საშუალებას იხმარს
რათა ძირიან ფესვიანათ ჩაკლას ყო-
ველივე მუშური მოძრაობა, და გაა-
მეფოს სასტიკი ცენზურა, რითაც
საშუალებას არ მისცემს მუშებს, რომ
მან ამცნოს თავის მოძმეებს თავისი
ჭირვარამი. ეხლა თითქმის ყოველგან
ედება რევოლიუციონური ცეცხლი,
და სწორედ ამისი ეშინიათ ინგლისის
იმპერიალისტებს და სცდილობენ,
რომ მთელი მსოფლიო თავის გავ-
ლენის ქვეშ იყოლიონ და ამ საშუა-
ლებით ძირიან-ფესვიანად მოსპონ
სოციალისტური მოძრაობა და ეხლა
ყველა მუშების ვალია ერთის ძალით
იერიში მიიტანონ იმპერიალისტების
წინააღმდეგ, რათა მოუსპონ მათ
თავიანთი განზრახვების სისრულეში
მოყვანა და ამითი იხსნან გერმანიის
ხალხი განადგურებისაგან და თავიდან
აიცილონ ის საფრთხე, რომელსაც
მსოფლიოს იმპერიალისტები უმზა-
დებს მას.

მაშვრალი მუშა.

დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.

გაგრძელებლება იხ. „ახ ნაადი“ № 26.

მაშასადამე, ყოველთვის კონსტი-
ტუცია პირველ ყოვლისა, სხვა არა
არის-რა, როგორც გარდა საზოგა-
დოებაში რეალურ ძალთა ურთიერ-
თობის გამოხატულება.

იქნება აღწერილი ეს გარემოება
ქაღალდზე თუ არა, ეს სულ ერთია
და მას მნიშვნელობა არა აქვს. ეგ
კია, თანამედროვე სახელმწიფოს
მცხოვრებნი შეჩვეულნი ვართ კანო-
ნათ ვცნობდეთ მხოლოდ დაწერილ
კანონს, თორემ განა კონსტიტუციის
და კანონების დაუწერლობით ინ-
გლეოდა ძველი საგვარეულო წყობი-
ლება, რომელიც დაუწერელი კონ-
სტიტუციით ცხოვრობდა. ამ კონს-
ტიტუციას და კანონებს ჩვეულება-
ადათს უწოდებდა??

ამგვარად, ჩვენ ნათლად გავიგეთ,
რომ ზემოდ მოყვანილი ფ. ლ-ის და-
ხასიათება კონსტიტუციის სრული
ჭეშმარიტებაა და აუცილებელი.

ეხლა, როცა ვიცით თუ რა არის
კონსტიტუცია საზოგადოთ, როგო-
რია მისი შინაარსი და აზრი, ჩვენ-
თვის მეტის მეტად ადვილია იმ სა-
კითხის გარკვევა, თუ როგორი უნდა
იქნეს ჩვენი რესპუბლიკის კონსტი-
ტუცია.

მაგრამ საკითხის გასარკვევად ზე-
მოდ ნათქვამის მიხედვით, უსათუოდ
გვჭირდება ანალიზი დღევანდელი
ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა,
რათა გავიგოთ, როგორია ჩვენში
რეალურ საზოგადოებრივ ძალთა
ურთიერთობა და განწყობილება?

მხოლოდ ამ ანალიზის შემდეგ
შეგვიძლია გარკვეული პასუხი გავს-
ცეთ დასმულ კითხვაზე.

პირველ ყოვლისა სასელმწიფო
აპარატი, ადმინისტრაცია და ჯარი
ხელთ უპყრია დღეს სოციალ-დემო-
კრატიას. მის ხელშია მთელი ძალა
მაროვა-გამგეობისა. მას მხარს უჭე-
რენ სხვა სოციალისტური პარტიე-
ბიც. ეს ნიშანია იმისი, რომ ჩვენი
ხალხის დიდი უმრავლესობა ემხრობა
უკიდურეს რადიკალურ რეფორმებს
და ამიტომ ზურგს უმაგრებს სოცია-
ლისტურ მთავრობასა, ეს ნიშანია
იმისა აგრეთვე, რომ ჩვენში სხვა სა-
ზოგადოებრივი ძალები, როგორც
ბურჟუაზია, სამღვდელოება და სხვა
სუსტია და უსუსური.

მაშ რალა უშლის ხელსაო — იტყვით
თქვენ, რომ ჩვენმა სოციალისტურმა
მთავრობამ გაბედული ნაბიჯი გადა-
სდგას და სოციალისტური რეფორმე-
ბი მოახდინოსო.

პირველი შეხედვით თითქოს არა-
ფერი უშლის ხელს, მაგრამ თუ ცოტა
ღრმად ჩავხედავთ საქმეს, დავინახავთ
ფრიად მნიშვნელოვან ხელის შემშ-
ლელ მიზეზს.

როგორც მოგეხსენებათ, თანამედ-
როვე საზოგადოება აგებულია კერძო
მესაკუთრეობაზე. სოციალისტური
წყობილება კი ნიშნავს კერძო საკუ-
თრების მოსპობას. თქვენ რომ დღეს,
სანამ ხალხის აზროვნება, მისი ობბე-
ქტიური შეგნება არ მომზადებულა
საამისოდ, ამ რეფორმის მისაღებად,
მოახდინოთ ასეთი რადიკალური ცვ-
ლილება, უსათუოდ წააწყდებით სას-
ტიკ წინააღმდეგობას იმათი მხრით,
ვინც ჯერ კიდევ კერძო საკუთრების
მოსპობას თავის გალატაკებად და და-
ღუპვადა სთვლის. და თქვენ იცით,
რომ ასეთები აუარებელნი არიან თვით
იმათშიდაც, ვინც „შეგნებულად“
მისდევს სოციალისტურ პარტიებს.
ასეთი ზომა უსათუოდ შეიქნება სა-
ბამად შინაური არეულობისა და სა-
მოქალაქო ომისა. შეიძლება მთავ-
რობამ შესძლოს იარაღით ჩააჩუმოს
ეს აჯანყება, როგორც ეს რუსეთის
ბალშევიკებმა ჩაიდინეს, მაგრამ საბო-
ლოოდ სახელმწიფოს ცხოვრების მო-
წესრეგება, მშვიდობიანი მუშაობა კი
ყოვლად შეუძლებელი გახდება მანა-
მდის სანამ არსებულ სახელმწიფო
წყობილებანი ყველა მოქალაქე არ
დაინახავს ცოტად თუ ბევრად მისი
საცოცხლის, პიროვნების და ქონე-
ბის უზრუნველყოფას.

ამიტომ, თუ ერთის მხრით ჩვენ-
ში შესაძლებელია უკიდურესი დე-
მოკრატიული წყობილების შემოღე-
ბა, ამავე დროს შეუძლებელია სრუ-
ლი ლიკვიდაცია კერძო მესაკუთრე-
ობისა და მაზე დამყარებულ დაწესე-
ბულებებისა.

ვინაიდგან ჩვენი ქვეყანა ჯერ ხა-
ნად უმთავრესად წვრილი მეურნეო-
ბის ქვეყანაა, ამიტომ შესაძლებელია
უმტკინეულოდ მაქსიმუმამდე შეზ-
ღუდვა კერძო საკუთრებისა და ამ
გზით შემზადება ნიადაგისა მომავალი
რადიკალური გარდაქმნისათვის. არსე-
ბული ჩვენში თანამედროვე საზოგა-
დოებრივ ძალთა ურთიერთობისა ამ-
ის ნებას გვაძლევს და ჩვენი ხალხის
უმრავლესობა ამ გვარ რეფორმის შე-
ურიგდება.

აი მაშასადამე ის კალაპოტი, რო-
მელიც უკავია დღეს ჩვენს საზოგა-
დოებას და ამ გზით შეგვიძლია რე-
ზულტატის მაქსიმუმი მივიღოთ.

მაშასადამე, ერთის მხრით ნამდვი-
ლი, სრული დემოკრატიზმი მართვა
გამგეობაში და მეორეს მხრით შეზ-
ღუდვა კერძო მესაკუთრეობასა კო-
ლექტიური, საამხანაგო საკუთრების
სასარგებლოთ, — აი შინაარსი ჩვენი
კონსტიტუციისა.

თქვენც გრძნობთ, რა თქმა უნდა
რომ ასეთი საზოგადო დებულება კო
ნსტიტუციის შინაარსის შესახებ და-
მაკმაყოფილებელი არ არის, რადგან
დღეს ჩვენ საქმე გვაქვს მის პრაქტი-
კულად განხორციელებასთან და ხე-
დავთ სიჭიროებას კონკრეტიულად,
ზედმიწევნით გარკვეულ იქნეს, თუ
რაგვარ ზომები მიგვაჩნია აუცილებ-
ლად დემოკრატიულ წყობილების და-
მყარებისათვის ერთის მხრით და შე-
საძლებელი სოციალური რეფორმე-
ბისათვის მეორეს მხრით.

მაგრამ ჯერ საჭიროდ მიმაჩნია ორი-
ოდე სიტყვის თქმა წინასწარ ამისა
გაფრთხილებისათვის.

შეიძლება ბევრმა იფიქროს, რომ
რაკი ჩვენი საკუთარი რესპუბლიკა
გვექნება, როგორი ფორმისაც არ უნ
და იყოს იგი, იმას დიდი მნიშვნე-
ლობა არა აქვს, რადგან თუ შემდეგ-
ში არ მოგვეწონება, ავიღებთ და შე-
ვცვლით მასაო.

ასეთი მოსაზრება სახიფათოა. საქ-
მე იმაში გახლავთ, რომ ძალიან ხში-
რად რევოლიუციონური დემოკრა-
ტია. სწორედ ამ მოსაზრებით, ზედ
მეტის ნდობით ეპყრობა ხელმძღვა-
ნელ პარტიებს, რომელნიც არც უც-
ოდნელნი არიან და არც შეუმცდა-
რნი, ხშირად მომხდარა რევოლიუ-
ციათა ისტორიაში, რომ ხელმძღვა-
ნელი პარტიების მიერ მიღებული და
მოწონებული კონსტიტუცია არა ყო
ფილა არც გელსაყრელი, არც ნამ-
დვილი ძალთა განწყობილების გამო
მხატველი და არც შესაფერი გარან-
ტიებით უზრუნველყოფილი. ამისგა-
მო როდესაც ხამორკვეულა დემოკ-
რატიისათვის ჩადენილი შეცდომები,
გვიანღა ყოფილა ხოლმე, რადგან ად
ვილია დემობილიზაცია, დაშლა რევო-
ლიუციონურ ილაშქრისა, ხოლო ძა-
ლიან ძნელია მის ხელ-ახლად შეკრება
აი, აქ უკვე გამოაშკარავებულა ძალათა
უთანხმოება და დემოკრატია დამარ-
ცხებულა.

ასე მოხდა, მაგალითად პრუსიაში,
18 მარტს 1848 წელს პრუსიის ხალ-
ხი აღსდგა, გრიგალი დატრიალდა
და აღმოჩნდა. რომ ხალხის ძალა
მეტი ყოფილა ჯარისა და მოწინააღმ-
დეგეთა ძალაზე და ამას მოჰყვა ძვე-
ლი წყობილების დარღვევა და საერო
კრების მოწვევა.

ამგვარად შეიცვალა ნამდვილი
ძალთა განწყობილება და, რა თქმა
უნდა, ნამდვილი კონსტიტუციაც.

მაგრამ საერო კრებამ, ნ. ი. ერის
ხელმძღვანელმა პარტიებმა მიუტევე-
ბელი შეცდომა ჩაიდინეს. ისინი შე-
კრებისათანავე შეუდგნენ კონსტიტუ-
ციის წერას და ისეთი სახით, რომ
არ გააუქმეს ხალხის საწინააღმდეგო
ორგანიზაციები, ჯარი, მეფობა, პო-
ლიცია და სხვა დარწმუნებულნი
იყვნენ, რომ რაკი ისინი კონსტიტუ-
ციას მეფე შეჰფიცავდა, მორჩა და
გათავდა!

მეფეც და მთელი მისი ამალა,
ჯარი და დაწესებულებები ხალხის
მონა მორჩილად და მსახურად გა-
დაიქცეოდნენ. გავიდა დრო: ხალხმა
საერო კრების, დამფუძნებელ კრების
იმედზე დამდგარმა მიატოვა თანდათან
ბარიკადები, დაკავებული პოზიციები
და იწყო დემობილიზაცია თავისი
ძალებისა სრულიად დარწმუნებულმა,
რომ საქმე მოგებული, გაკეთებული
იყო და იგი საიმედო ხალხის — დამ-
ფუძნელი კრების ხელში იყო. მაგრამ
შეიცვალა თუ არა ძალთა განწყობი-
ლება, მოწინააღმდეგე ბანაკმა მყისი-
ვე ისარგებლა ამითი.

ი. ვარაზაშვილი

(შემდეგი იქნება)

მოწაფეთა საღამო.

17 მაისს მუშტაიდის დემოკრატიულ
კლუბში გაიმართა საღამო საქართველოს
სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის მო-
წაფეთა მთავარ კომიტეტისა, რომელზე-
დაც დამსწრე საზოგადოებას თავისი
ვრცელი სიტყვით მიმართა ა. წერეთელმა
მან სხვათა შორის დახასიათა საზავო
ხელშეკრულების ხასიათი და მთელი
ევროპის იმპერიალისტების სამკვდრო-
სასიცოცხლო ბრძოლა ევროპის პორო-
ლეტარიატთან, ორატორმა თავისი სიტ-
ყვაში გამოხატა ის საშინელება, რომე-
ლიც მოევლინება მთელი ქვეყნის პრო-
ლეტარიატს, თუ იმპერიალისტებმა გაი-
მარჯვესო. მოქალაქენო ნუ გაყვებით
გადმოსროლილ იმპერიალისტურ ანკესებს,
ნუ იქნებით გაურკვეველი ამ მოწამლულ
ატმოსფერაში, თორემ თქვენი დასაკლავს
დანას, თქვენ თვითონ მოგატანინებენო.
დასასრულ ორატორმა მოუწოდა მათ
აერჩიათ გარკვეული გზა ცხოვრების
უკულმართობის საბრძოლველათ, დაარსეთ
მუშათა კავშირები, სინდიკატები, საფუ-
ძველი ჩაუყარეთ შრომის ფედერაციას და
შეგნებული შეკავშირებული პატარა სა-
ქართველოს პროლეტარიატმა ხელი გაუ-
წოდეთ და მხარში ამოდგომოდა ერთ-
ქვეყნის პროლეტარიატსო.

ორატორის სიტყვას, რომელიც დაწერ-
ბიდან ისე გათავებამდის ხალხი მზურვალე
ტაშის კვრით აჯილდოვებდა.

შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, წარ-
მოადგინეს „დედის ერთა“ ახალქალაქე-
ლის რეჟისორობით, კარგი შთაბეჭდი-
ლება იქონია თვითონ ახალქალაქელმა
იოთამის როლში, მის თამაშს ხალხი
სიამოვნებით ხვდებოდა. შემდეგ გაიმარ-
თა დივერტისმენტი, ლექსები წარმო-
სთქვეს ს. კოლხიდელმა, პაოლენ ბოკე-
რიამ, წალენჯიხელმა, ცეცხლაძემ და სხ.

დასასრულ გაიმართა ცეკვა, თამაში,
ფოსტა და აუქციონი, ღამის 3 საათამ-
დის ხალხი არ დაშლილა. საღამომ მე-
ტად მხიარულათ ჩაიარა.

პაოლენ ბოკერია.

ოქმი

მუშათა საერთო კრების, მთავარი სა-
ხელოსნოს, დეპოსი, საქონლის სადგურის,
მთავარი სახელოსნოს მცველთა და ყველა
რკინის გზის დაწესებულებათა მოსამსა-
ხურე დარაჯების ყველა გინყოფილებათა
და სამსახურისა, სამმართველოსი საქარ-
თველოს რკინის გზების მეისრეების,
კონდუქტორებისა, მხვეტელებისა და და-
რაჯი ქალებისა, მეკარეებისა და მეეზო-
ვეთა ყველა სახაზინო დაწესებულებათა
ტფილისის კვახძის ბ. ვაშაკიძის და აწ-
კარუნაშვილის მდივნობით თანადასწრე-
ბით დამფუძნებელ კრების სამი წევრისა:
1) ვარდოიანცის, მომხსენებლის შრომის
სამინისტროს მონდობილობით, 2) წუ-
ლაია და ნინიძესი და სამის ცენტრალუ-
რი რკინის გზის კომიტეტისა: ბოკერია,
ნასიძისა და კუპრაშვილის და მეხუთე
სარაიონო მმართველობის წევრების გიორ-
გაძის, სარაიონო მმართველობის მთავა-
რი სახელოსნოისა ვ. ვაშაკიძისა 13 მაისს
1919 წელს.

კითხვა დასმულიყო ჯამაგირების მო-
მატების შესახებ, რომელიც ცხოვრემის
უაღრესად გაძვირების დღიურ წესრიგში
იყო დასმული.

ზემოდ დასახელებული საზოგადო კრე-
ბა, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით
ათას სამასი კაცი და ელოდა შრომის
მინისტრის ამხანაგის მოსვლას (ავადმყო-
ფობის გამო ვერ დაესწრო) კრებას, და-
ვალებით შრომის სამინისტროდან მოხ-
სენება გააკეთა ვარდოიანცმა დამფუძ-
ნებელ კრების წევრმა, რომლის მოხსენე-
ბა იმშუნაოროდ ვერ აღმოჩ.და მიზან-
შეწონილი კრების სულისკვეთებასთან,
რის გამოც მრავალი ორატორები გამო-
ვიდენ მის საწინააღმდეგოდ საზოგადო
კრებიდან. ცხარე კამათის შემდეგ, რო-
მელიც მღელვარედ ხასიათდებოდა ასეთი
რეზოლიუცია მიიღეს ერთხმად, რომელიც
წარმოდგენილ იქმნა ი. ნიკოლაიშვილის
მიერ:

რომ ჯამაგირების მომატება შეთანხ-
მებული იყოს ცხოვრების საზღაპრო გა-
ძვირებასთან და სამოქალაქო მაზანდასა-
თან და ყველას აკმაყოფილებდეს, მო-
მატება ჯამაგირიბისა ყველა რკინის
გზელთათვის უნდა იყოს განაწილებული
თანასწორად. რაც შეეხება ძირითად
ჯამაგირებს დარჩეს ძველებურად მომა-
ტებით არა უმეტეს ხუთმეტი მანეთისა
ერთი მეორესაგან. გარდა ამისა დადგი-
ნეს, რომ მთავრობამ გავლენა მოახდინოს
რათა მოვაჭრეებმა ხელოვნურად არ აუ-
წიონ ფასი პირველ მოთხოვნილების სა-
ნებს და ქონდეთ ფიზიელი თვალყურის
დეყნება საერთო მაზანდაზე.

ზემოდ მოყვანილი დადგენილება გატა-
რებულ იქნას ცხოვრებაში ოქ მაისამდე
და მომატებული ჯამაგირების გადახდა
აი დაწყებულ უნდა იქნეს პირველ მაი-
სიდან.

შემდეგ ამისა არჩეულ იქმნა დელე-
გატები რკიის გზის ცენტრალურ გამ-
გეობაში, სადაც ხმის უმრავლესობით
გავიდენ შემდეგი პირები: 1) გიორგი
ვაშაკიძე, 2) სალიბეგი და 3) ნიკოლაი-
შვილი, ხოლო საერთო კრება დაჟინებით
მოითხოვს, რათა ცენტრალურმა კომი-
ტეტმა ისინი მიიღოს ზემორე მოყვანილ
საკითხის გადასაწყვეტად.

დამსწრე.

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კოლეგი

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.